


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 141 (3118)

1966 წ. 23 ივლისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


# VIII მსოფლიო პირველობა

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ივლისი

## დღეს! მეოთხედფინალური მატჩები

ლონდონი — ინგლისი—არგენტინა

შეფილდი — გფრ — ურუგვაი

ლივერპული — პორტუგალია — კსდრ

სანდერლენდი — სსრ კავშირი — უნგრეთი

არჩევანი გრძელდება



„ვისი სული გსურს?"

ნახ. გ. იაშვილისა.



◆ **ვარშავა, 22 ივლისი.** პოლონეთის, სსრ კავშირის, დანიის, რუმინეთის, უნგრეთის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა გადაწყვიტეს მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ნახევარი წლით ადრე თავიანთი ძალები გამოსცადონ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პოლონეთის საკურორტო ქალაქ სოპოტში დაიწყო. შეჯიბრებაში გამოდის აგრეთვე, პოლონეთის ახალგაზრდული გუნდი. პირველ ტურში ჩვენმა სპორტსმენებმა წააგეს უნგრეთის ნაკრებთან — 7:12. საბჭოთა სპორტსმენთაგან ბურთები გაიტანეს: კლიმოვმა (3), ზდორენკომ (2), ზელენოვმა და ცერცვაძემ (1-1).

◆ **ბუდაპეშტი, 22 ივლისი.** **მძლეოსნობის ისტორიაში პირველად, ევროპის ყველა ქვეყანა თავის სპორტსმენს გამოგზავნის აქ გამართულ კონტინენტის ჩემპიონატში. სულ ახლახან მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა გიბრალტარმა.**

◆ ოსლო, 22 ივლისი. აქ მოეწყო ადგილობრივ და ჩეხოსლოვაკიელ მძლეოსანთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. იგი გაიმართა „ბიშლეტის" სტადიონზე. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 133:79. საუკეთესო შედეგები აჩვენეს: ჭ. ვეუმამინ (ნორვეგია) 110 მ თარჯრბენში — 14,1, ჩეხოსლოვაკიელმა მსოფლიო რეკორდსმენმა ლ. დანეკმა ბადროს ტყორცნაში — 61,78 მ.

◆ *მეხიკო, 22 ივლისი. მექსიკელი არქიტექტორი პედრო რამირეს ბასკესი სათავეში ჩაუდგა XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს მას შემდეგ, რაც წინანდელმა თავმჯდომარემ, მექსიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ადოლფო ლოპეს მატეოსმა ავადმყოფობის გამო გადადგომა მოითხოვა.*

## წარმატება ვისბადენში

ვისბადენში გრძელდება მსოფლიო პირველობა სროლაში. გასულ კვირას გამართულ შეჯიბრებებში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენი ქალები. მცირეკალიბრიანი სტანდარტული პისტოლეტიდან სროლაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა მოსკოველი ნ. რასკაზოვა — 582 ქულა. „ვერცხლი" მოიპოვა ა. სავინამ (მოსკოვი), რომელიც გამარჯვებულს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ინგლისელი სვერლოუ — 575. წარმატება იქნა მოპოვებული მრგვალ სტენდზეც, სადაც ოქროს მედალი არავის დაუთმო საბჭოთა სპორტსმენმა კ. სმირნოვამ, II ადგილი დაიკავა ვენესუელელმა მ. დე გარსიამ, III — ფრანგმა მ. ვალერიმ.

4 დღე გრძელდებოდა „გაქცეულ ტახზე" სროლაში შეჯიბრება. გუნდური პირველობა მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 637 ქულა. II ადგილი დაიკავა აშშ-ის გუნდმა, III — შვეციამ. პირად პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონი გახდა კიეველი ვ. ვესელოვი. მეორე საბჭოთა სპორტსმენმა — ვორონეჟელმა ი. ნიკიტინმა II ადგილი დაიკავა. დიდი კალიბრის რევოლვერითა და პისტოლეტით 25 მეტრიდან სროლაში (30 გასროლა მრგვალ სამიზნეზე და 30 გასროლა სილუეტზე) ჩვენმა გუნდმა მოიპოვა მეორე ადგილი, ერთი ქულით წააგო რა აშშ-ის ნაკრებთან—2341. III ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები. პირად პირველობაში გაიმარჯვა ამერიკელმა ბლანკენშიპმა, ვერცხლის მედალი დაისაკუთრა კაცოვსკიმ (ჩეხოსლოვაკია), ბრინჯაოსი — რ. სულეიმანოვმა (სსრ კავშირი).

**ს რ ო ლ ა**

## პირველი ჩემპიონები

**ტარტუ, 20 ივლისი.** დღეს აქ, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი ველოსიპედისტები.

ქალთა ტურნირში წარმატებით აიღო სტარტი „სპარტაკის" I გუნდმა (ა. პურონენი, ნ. ტროფიმოვა, ლ. ზადოროჟნაია), რომელმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა 20 კმ გუნდურ რბოლაში. გამარჯვებულის შედეგია 28.37,4. ვერცხლის მედლები „დინამოს" ველოსიპედისტებს ხვდათ წილად — 28.50,2. ხოლო ბრინჯაოსი — ამავე საზოგადოების II გუნდს — 28.59,1.

იუნიორთა რბოლა 50 კილომეტრზე მოიგო ცსკა-ს კოლექტივმა (ვ. აბრამოვი, ლ. კოროტჩენკო, ვ. კონდრატ[illegible]ვი და ვ. ბარანოვი) — 1:08.38,0.

შეჯიბრება გრძელდება.

**ველოსპორტი**

## გამოვლინდნენ ფინალისტები

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დამთავრდა სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა შეჯიბრება. ტურნირის ბოლოსწინა დღეს ყურადღების ცენტრში იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტების ვაჟთა გუნდების შეხვედრა. საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებიც შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიან, მაღალ დონეზე ჩაატარეს მატჩი და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს— 69:62 (35:32). ჩვენს გუნდში კარგი თამაშით გამოირჩეოდა სამი ზურაბი: ხიდაშელი (26 ქულა), ლეონტიევი (31) და ქარაბაკი (14).

ამავე დღეს მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს საქართველოს სხვა გუნდებმაც: პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კოლექტივმა 20 ქულის სხვაობით მოუგო ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტს (69:49), ხოლო ამავე ინსტიტუტის ქალთა გუნდმა დაამარცხა ტაშკენტის სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივი (69:39), აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის კალათბურთელებმა მოუგეს სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებს — 43:35.

ჩემპიონატის ბოლო დღეს გათამაშების ლიდერებმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა შესაბამისად დაამარცხეს ოდესის სამშენებლო (68:56) და ყარაგანდის პოლიტექნიკური (88:53) ინსტიტუტების კალათბურთელები. ამ გამარჯვებით ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გაინაღდეს სტუდენტთა საკავშირო თამაშების ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება. მათ გარდა, ფინალში გამოვლენ აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის ქალთა და ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდები, რომლებმაც თბილისის ტურში II საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ფ. თუშიშვილი.

**კალათბურთი**

## ი. კავსაძე და ო. პროკოპენკო — რეკორდსმენები

ნოგინსკის ველოტრეკი დიდ საკავშირო შეჯიბრებათა სარბიელია. აქ, ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ველოსიპედისტებს არა ერთი საკავშირო რეკორდი გაუუმჯობესებიათ. ნოგინსკის ველოტრეკმა არც ამჯერად უღალატა თავის ტრადიციას. ამას წინათ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე განახლებულ იქნა ჩვენი ქვეყნის 4 რეკორდი, რომლის ავტორები არიან თბილისელი სპორტსმენები ო. პროკოპენკო და ლიდერი ი. კავსაძე.

ოთხივე ეს რეკორდი „დაამხეს" ჩვენმა თანამემამულეებმა ო. პროკოპენკომ და მისმა ლიდერმა ი. კავსაძემ. 25-კილომეტრიან დისტანციაზე მათ აჩვენეს 19.27,6. 50-კილომეტრიან დისტანციაზე — 39.02,0, 100-კილომეტრიან დისტანციაზე — 1·22.14,8, ხოლო საათიან რბოლაში — 74 კმ 159 მ.

* * *

სურათზე: ი. კავსაძე (მარცხნივ) და ო. პროკოპენკო.

ფოტო ბ. ქვათაძისა.



# ლუჟნიკი 10 წლისაა

1955 წლის დასაწყისში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მოსკოვში ერთიანი სპორტული კომპლექსის მშენებლობის თაობაზე. მშენებლობის ადგილად არჩეულ იქნა ლუჟნიკი. ეს შეესაბამებოდა მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმას. იმ წლებში ფართო ფრონტით მიმდინარეობდა დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთის რაიონების სამშენებლო სამუშაოები: ლენინის მთაზე აღიმართა ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდებული შენობა, გამოჩნდა ახალი საცხოვრებელი კვარტალები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. მხედველობაში იქნა მიღებული დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მშენებლობის პერსპექტივები და ლუჟნიკი აირჩიეს ახალი სტადიონის აგების ადგილად.

მთავრობის დადგენილებით საპროექტო სამუშაოებისათვის გამოყოფილ იქნა 90 დღე, ხოლო მშენებლობისთვის — ერთ წელზე ცოტა მეტი. 1956 წლის ივლისის ბოლოსთვის ყველა ძირითადი ნაგებობა უკვე მზად იყო, ხოლო 31 ივლისს სტადიონი გაიხსნა. ამავე დღეს გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ცენტრალური სტადიონისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების შესახებ.

200 ჰექტარ ფართობზე აგებულია დიდი სპორტული სარბიელი, საცურაო აუზი, სპორტის სასახლე, მცირე სპორტული სარბიელი, ბავშვთა სპორტული ქალაქი, ჩოგბურთის კორტები. სტადიონის ტერიტორიაზე ფეხბურთის 8 მინდორია, ფრენბურთის 20, კალათბურთის 13 მოედანი, ჩოგბურთის 33 კორტი. ზამთარში ლუჟნიკში გახსნილია სათხილამურო ბაზები — ჰოკეის მოედნები, ფიგურული სრიალის სტადიონი და აგრეთვე, ყინულის უზარმაზარი მინდორი ციგურებით მასობრივი სრიალისთვის. ყველა სპორტულ სარბიელზე წლის განმავლობაში მუშაობენ სპორტული დარბაზები, მეთოდური კაბინეტები. სტადიონის ტერიტორიაზე განლაგებულია ორი ადმინისტრაციული კორპუსი, სხვადასხვა პავილიონი, საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი, სპორტის მუზეუმი, სასტუმრო „სპორტი", სპორტული მაღაზია, სპორტული ტანსაცმლის ატელიე, რესტორანი, ბუფეტები და დამხმარე წარმოებები.

10 წლის განმავლობაში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურმა სტადიონმა პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრების ცენტრი გახდა. სტადიონზე წლის განმავლობაში ტარდება საშუალოდ 1.500 დიდი (მათ შორის საერთაშორისო) სპორტული შეჯიბრებები. 10 წლის განმავლობაში ლუჟნიკის სტადიონზე იყო 70 მილიონი მაყურებელი. თავისი არსებობის პერიოდში ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა I, II, III სპარტაკიადები, პროფკავშირების სპარტაკიადა. ამას გარდა აქ მოეწყო მსოფლიოს 11, ევროპის 4 ჩემპიონატი და ფეხბურთში საკავშირო პირველობის 500-ზე მეტი შეხვედრა, 60 საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი და ჰოკეისტთა გუნდების 480 თამაში. ლუჟნიკში იმართება აგრეთვე, კინოფესტივალები, თეატრალური წარმოდგენები, კონცერტები.

სპეციალისტები ცენტრალურ სტადიონს უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლას უწოდებენ. აქ რეგულარულად ტარდება სსრ კავშირის, რსფსრ-ს, მოსკოვის ნაკრები გუნდების სასწავლო ვარჯიშები სპორტის 20 სახეობაში. სპორტულ დარბაზებსა და სტადიონის მოედნებზე ყოველდღიურად ვარჯიშობენ დედაქალაქის 15 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და სხვ.

ცენტრალურ სტადიონზე ხშირად ნახავთ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს. ზოგი აქ პირველ ნაბიჯებს დგამს სპორტში, ზოგი ემზადება ახალი სპორტული მწვერვალების დასაპყრობად, ზოგი სხეულს იკაჟებს, მეცადინეობს საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში.

ლუჟნიკი დიდ ყურადღებას უთმობს სპორტის პროპაგანდას. იგი გარეგნულად საუკეთესოდაა მორთული. გამუდმებით მუშაობს გამოფენა — „ფიზკულტურა და სპორტი". სტადიონზე მასობრივი ტირაჟით გამოდის ბროშურები, პროგრამები, პლაკატები.

ნ. თოლორაია.

# უზბეკეთის ავიამოდელისტთა წარმატება

თბილისში 3 დღეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა ავიასამოდელო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. 1,5 კბ სმ კლასის მოდელებში გაიმარჯვა უზბეკეთის წარმომადგენელმა ა. კურგანოვმა, რომელმაც 135,923 ქულა დააგროვა.

სარბოლო მოდელებში (საათში 119,205 კმ) პირველობა ასევე უზბეკეთის წარმომადგენელმა ო. მასლოვმა მოიპოვა.

დანარჩენ სახეობებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ: პ. სობკოვი (ყაზახეთი), გ. კოსტრიკინი (უზბეკეთი), ბ. ეფიმოვი (მოსკოვი), ვ. სოლოვიოვი (რსფსრ) და ე. მედვედევი (უკრაინა).

საქართველოს სპორტსმენთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა ს. ჯილიჯიანმა, რომელმაც V ადგილი დაიკავა 2,5 კბ სმ კლასის მოდელებში.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი უზბეკეთის ავიომოდელისტებმა დაისაკუთრეს, II ადგილზე გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის, ხოლო III — უკრაინის წარმომადგენლები. საქართველოს გუნდი VIII ადგილით დაკმაყოფილდა.

კ. კოსტავა.

# რუსთაველის იუბილეს მიუძღვნეს

● შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს თავისებური სპორტული ნობათით ხვდება თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივი. ამ დღეებში სასწავლებლის ტურისტულმა ჯგუფმა სპორტის ოსტატ ქ. გირგიტოვის ხელმძღვანელობით მოაწყო ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — ფასანაური — ჩოხი — ბურსაჭირის უღელტეხილი — მდინარე სნოს ხეობა — კობი — თრუსოს ხეობა — როკის უღელტეხილი — ჯავა. ტურისტებმა 110 კილომეტრი უნდა გაიარონ. ლაშქრობა მესამე კატეგორიის სიძნელისაა და 10 დღეს გასტანს.

ამ საინტერესო ლონისძიებაში მონაწილეობენ პირველთანრიგოსანი ტურისტები თ. კაზიშვილი, ძმები თ. და მ. წიკლაურები, ვ. ქალდანი, ბ. გაბაეროვი და სხვ., რომლებიც აგრძელებენ სასწავლებლის საკმაოდ მდიდარ ტურისტულ ტრადიციებს.

განზრახული აქვთ წლეულს სექტემბერში მოაწყონ მესამე კატეგორიის სიძნელის ლაშქრობა ბაიდარებით მდინარე ალაზანზე — ჯო...ლოდან მინგეჩაურის წყალსაცავამდე. ეს ლონისძიებაც დიდი მგოსნის იუბილეს მიეძღვნება.

გზადაგზა ლაშქრობის მონაწილეები გაეცნობიან ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და კულტურის ძეგლებს, რომლებიც მეტნაკლებად დაკავშირებულია დიდი შოთას უკვდავ სახელთან, კერძოდ, იყალთოს აკადემიას და გრემის მონასტერს, გააკეთებენ ამ ღირსშესანიშნავი ძეგლების ჩანახატებს.

ს. ძლიერი.

● ახალქალაქის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და უფროსი კლასების მოსწავლეებმა დიდი ქართველი პოეტის შ. რუსთაველის იუბილეს მიუძღვნეს ექვსდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ახალქალაქი — ჩუნბიანი — თამარ მეფის კოშკი — რკონის სამონასტრო ეკლესია — სოფელი პიტნარი — ჯვარები — მღებრიანი — არჯევანის მთა — თეძმის სათავე.

ლონისძიება ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩატარდა.

ნ. ბახტაძე,
ლაშქრობის ხელმძღვანელი, ახალქალაქის საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.



# ...საინტერესოდ, სწრაფად და ყველგან

საქართველოში ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ავტო-ტურისტული მოგზაურობის მოყვარული ჩამოდის ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

პირველი სტუმრები თბილისის „კემპინგმა" 1961 წელს მიიღო. იპოდრომის ტერიტორიაზე მოწყობილი ეს ბანაკი მაშინაც ანცვიფრებდა ჩამოსულებს კარგად შერჩეული მდებარეობითა და სილამაზით. მას შემდეგ კიდევ ბევრი რამ გაკეთდა, — ყოველმხრივ გაუმჯობესდა ტურისტთა მომსახურება, იმატა მწვანე ნარგავებმა. წლევანდელ სეზონს „კემპინგი" ახლებურად შეხვდა. ლამაზ ოთხადგილიან კოტეჯებს „კარავთა უბანიც" დაემატა. ახლა ტურისტებს შეუძლიათ სურვილისამებრ აირჩიონ ბინა მათ განკარგულებაშია ავტოპროფილაქტორიუმი, ბუფეტი, თვითმომსახურების სამზარეულო, სამრეცხაო...

წლეულს აქ უკვე იყო სტუმრად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული 3.000-მდე ტურისტი. ათობით სტუმარი ჩამოვიდა როგორც დემოკრატიული, ისე სხვა ქვეყნებიდან.

თ. გაჩეჩილაძე.

სურათზე: ბულგარელი ტურისტები „კემპინგში".

ფოტო ავტორისა.

## „განა ეს საკადრისია?!"

ჩვენი გაზეთის 2 ივნისის ნომერში დაბეჭდილი იყო კრიტიკული წერილი — „განა ეს საკადრისია?!" რომელშიც ლაპარაკი იყო ტყვარჩელში ადგილობრივ და გულრიფშელ მოსწავლე-კალათბურთელთა მატჩში მასპინძელთა უმსგავსო საქციელის შესახებ.

როგორც პარტიის ტყვარჩელის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე გ. ბარამია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. დამნაშავეებმა სათანადო სასჯელი მიიღეს: ტყვარჩელის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორს ი. რამიშვილს ადმინისტრაციული სასჯელი დაედო; ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს ვ. დავიდოვას გამოეცხადა სასტიკი საყვედური; მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის ბრძანებით ამავე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ო. არგუნს გამოეცხადა საყვედური.

# ქართული სპორტის ქრონიკა

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა კ. სიდამონიძემ.

● წარსულ კვირას, „იტალიის ბაღში" დიდძალი ხალხი იყო მოგროვილი. ეს ბაღი ჩვენი ქალაქისათვის წარმოადგენს იმასვე, რასაც რომაელებისათვის წარმოადგენდა გლადიატორთა ამფითეატრი. კვირა ისე არ გაივლის, რომ „იტალიის ბაღში" ჭიდაობა გამართული არ იყოს. წარსული კვირის ჭიდაობა დიდ ინტერესს წარმოადგენდა ფიზიკური ღონის მოყვარულთათვის. სახელგანთქმული ქულა გლდანელი უნდა დასჭიდებოდა ახალგაზრდას, არა გლდანელზე ნაკლებად იმერეთში სახელგანთქმულს მეგრელ ნესტორ ესებუას. გლდანელს და ესებუას ამ ერთი წლის წინეთ უჭიდავნიათ ბათუმში, მაგრამ დამარცხებულად არც ერთს და არც მეორეს თავი არ უცვნია. ეს გარემოება მით უფრო საინტერესოდ ხდიდა პირვანდელს ჭიდაობას.

საღამოს ხუთი საათი იყო, როცა გამოვიდნენ ორი მოწინააღმდეგე მოჭიდავენი, ორივე მშვენიერი ტანადი, მხნე და მამაცი, მაყურებელს სიამოვნებით ევსებოდა გული. გლდანელმა სამჯერ ზურგული უყო ესებუას და თითქმის წაქცეულიც ყვანდა, მაგრამ ცქვიტი და მარჯვე მეგრელი მაშინვე ფეხზე წამოდგა და ხელ-ახლა შეეჯახნენ. მეორედ მოგვერდი უყო გლდანელმა, მაგრამ ესებუა ისევ ფეხზე იდგა. მესამედაც წააქცია გლდანელმა, მაგრამ აქაც კატასავით წამოხტა ესებუა, ჰკრა ხელი გლდანელს და ერთს წუთს პირაღმა გადააქცია. გლდანელსაც უნდოდა ესებუასავით ზეზე წამოდგომა, მაგრამ გაუძნელდა. ესებუამ მძიმედ დასცა. მივიდა ხალხი და გააშველეს. ატყდა ყაყანი. მომეტებული პირუთვნელნი ამბობდნენ, რომ ესებუამ გაიმარჯვაო, ზოგნი კი ამბობდნენ გლდანელმა აჯობაო. რაც უნდა იყოს, ნესტორ ესებუა კარგი მოჭიდავეა და ამასთანავე პატიოსანიც. არც ფეხებზე ხელის წავლება არც სხვა რამ არ იცის და არც უნდა, რომ იცოდეს. გლდანელი კი ამით ვერ დაიკვეხებს... ჩვენ ბევრი მაგალითები ვიცით, როდესაც გლდანელი არასაპატიებელი, სათვალწუნო საქციელით გამარჯვებული გამოსულა ხოლმე. შესამჩნევია აგრეთვე დაბალი ხალხის ალტაცება: „ძლივს, ძლივს" ამბობდნენ ისინი. აქ უადგილო არ იქნება დავბეჭდოთ ერთი ლექსი, რომელიც ვიღაც მესტვირე კირვალიძეს შეუთხზავს ამ ჭიდაობის გამო.

ქულა გლდანელის და ნესტორ ესებუას ჭიდაობა

ოცდათერთმეტ აგვისტოსა
ხალხი მიდის ბაღშიაო,
იძახიან ესებუას
შეუძლია მკლავშიაო.
პირველად ზურნა დაუკრეს
კულა გადის შველივითა
მაგრამ ჩვენი ესებუა
გამოხტება მწყერივითა.
ნესტორი ლეკურს თამაშობს
შემდეგ ჩერდება შუაზე,
დაბლა ყველას თავსა უკრავს
მერე იწევა კულაზე.
ყველას უძგერს გული მკერდში:
ნეტავ ვინ-ვის წააქცევსო,
სირცხვილს ვინ ჭამს, ვინ
იხარებს
ვინ ადიდებს თავის ერსო?
ჰა, მივარდნენ ერთმანეთსა,
შიშით შეიძრა ყველაო,
გაჰკრეს სარმა, ზურგულებიც
ფეხზე იცვლება კულაო.
ერთი კიდევ და გათავდა
აბა თქვენს მტერს რაც ვნახეთო,
კულა მიწას გაიშხლართა,
აბა, ვაშა შესძახეთო.
აჰა, გათავდა ყოველი
ხალხმა დასძახა ურაო,
ამ ჩვენმა ესებუამა
ქვეშ ამოიღო კულაო.
მის დასტაში იძახიან:
ბიჭო სირცხვილი ვჭამეთო.
თბილის ქალაქს ერთი გვყავდა
სახელგანთქმული გლდანელი,
იმერელმა წააქცია
დავრჩით პირდაუბანელი.

(გაზეთი „თეატრი", 1888, № 36).

● იმერელ-მეგრელებში აღმოჩნდა ერთი კარგი მოჭიდავე ბ-ნი ნესტორ ესებუა. ამის ქებაზედ ჩვენ ახალციხელებს საღერღელი აეშალათ და გამოიყვანეს თავიანთ მხრიდან აწყურელი, ძალ-ღონით დიდად ნაქები, მაგრამ ცოტა რამ კი გამოუცდელი ჭიდაობაში. პირველად დაიჭიდნენ 14 ივლისს. მეტად ცხარე იყო ამათი ბრძოლა. სამჯერ შეიბნენ ძლიერად, ურთიერთს სრულიად დაახიეს ტანისამოსი და 40 წუთამდის ჭიდაობდნენ. თუმცა მძლე და მომრევი იმ დღესვე გამოირჩეოდა, მაგრამ პარტიობა დიდს საქმეს ლამობდა და ამისთვის ფალავნებმაც ერთ-ურთის გამოცდას, ძალ-ღონის სინჯვას მიჰყვეს ხელი და დაღალულნი უკუდგნენ იმ დღეს მეორე შებმა სამშაბათისათვის გადაიდო.

19 ივლისს ნაშუადღევის 5 საათზე დიდი სიმრავლე მოაწყდა. დაიკრა მუსიკა და გაჩნდა ჭიდაობა. ახალციხელ ყმაწვილ-კაცებისგან რიგ-რიგად ხან მესხები და ხან სომხები იმარჯვებდნენ. 6 ს. 30 წ. აი, ნამდვილი გმირები გამოვიდნენ, დატრიალდნენ სწორედ გმირულად ბ-ნ ალელიშვილის სასტუმროს ეზოში. ამათ ნავარდზე ბევრს მამაკაცსა და დედა-კაცს გული აუძგერდა. გულმოდგინე მომწყვაობით გამოსარჩლება მოინდომეს ფალავნებისა, მაგრამ პირველ შეყრასავე ბ-ნმა ნ. ესებუამ აღარ დააცალა რა ბ-ნ ჰაჯიბაბგულიკოვს, მისცა თვალის დახამხამებაში სარმა თუ არა, მაშინვე ბრეგვა მოადინა დედამიწაზე. გაჩნდა საშინელი გრიალი და ტაშისკვრა იმერელ-ქართველებში. გამარჯვების მუსიკა დაიკრა, გამარჯვებული ბ-ნი ნ. ესებუა დატრიალდა და მშვენიერის ლეკურით ასიამოვნა მაყურებელი. თუმცა ბ-ნმა ნ. ესებუამ სხვანიც გამოითხოვა საჭიდაოდ, მაგრამ არავინ გაბედა, ყველას გული გაუტყდათ".

(„ივერია", 1888, № 160).

# წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — ს. ქავთარაძეს (ბათუმის „დინამო"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — მ. თავაძეს (ბათუმის „სპარტაკი"); **ტყვიის სროლაში** — მ. მიქიაშვილს, ს. ფარულავას (ორივენი — ქუთაისის „დინამო"); **ნიჩბოსნობაში** — შ. კოზმანაშვილს (მცხეთის „კოლმეურნე"); **სათხილამურო სპორტში** — ა. შილოვს (ახალციხის „დინამო").

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **სასტენდო სროლაში** — მ. კუროჩკინს (თბილისი); **ფარიკაობაში** — ი. ლეუსს (თბილისი); **აკრობატიკაში** — ს. კრასიკოვს (რუსთავი).

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის საპატიო ნიშნით დაჯილდოვდნენ: **მძლეოსნობაში** — თ. მაჩაბელი (თბილისი); **ფარიკაობაში** — ვ. ელაშვილი, ა. მეიფარიანი (ორივენი — თბილისი); **სასტენდო სროლაში** — ლ. ციციშვილი (თბილისი).

# VIII მსოფლიო პირველობა

ENGLAND 1966 ფეხბურთის VIII [illegible]

## „ოქროს ქალღმერთის" კაპრიზები

ლონდონი, 21 ივლისი (საქდესის სპეც. კორ.). ინგლისელ ფეხბურთელებს სათითაოდ ელით საკმაოდ მაღალი ჯილდო: ცნობილი „კინოვარსკვლავის" ვივიენ ვენტურის კოცნა. ფეხბურთელებს იგი დაპირდა კოცნას, თუ ისინი მოუგებდნენ საფრანგეთის ნაკრებს. ძნელი სათქმელია, რა უფრო მაცთუნებელი იყო სპორტსმენთათვის ვ. ვენტურის ამბორი, თუ საკმაოდ მოზრდილი ფულადი ჯილდო, რომელსაც მათ პირდებოდნენ იმავე საფრანგეთის ნაკრებთან გამარჯვებისთვის, მაგრამ ფაქტია ის, რომ ინგლისის ნაკრების გასახდელში ყველაზე შესამჩნევ ადგილას კიდია „კინოვარსკვლავის" სურათი მისივე წარწერით: „ინგლისით ფეხბურთელებს დიდი სიყვარულით".



● „ჩვენ ყველანი გაწბილებული ვართ. — სინანულით განუცხადა იტალიელ კორესპონდენტებს ამ ქვეყნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ე. ფაბრიმ. — მაგრამ ჩემი მდგომარეობა ყველაზე უარესია. ხეირიანად ვერც შევძელით საუბარი ერთმანეთს შორის კორეელებთან განცდილი დამარცხების შემდეგ". ე. ფაბრიმ, გარდა ამისა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას თხოვა გააკეთოს მისი მუშაობის დაწვრილებითი ანალიზი.

● საბჭოთა ტურისტთა ჯგუფში, რომელიც პრესასთან ერთადაა განლაგებული სანდერლენდის ტექნიკურ კოლეჯში, არიან ნინა პილეცკაია და გალინა პილეცკაია. ისინი არ არიან დები და ბოლო ხანებამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს. პირველი ცხოვრობს და მუშაობს ნოვოსიბირსკში, ხოლო მეორე — იაროსლავლში. ადრე არც ერთ მათგანს არ უყვარდა ფეხბურთზე, მაგრამ ოლიმპიური ლატარიის იღბლიანმა ბილეთებმა მათ საშუალება მისცა გამგზავრებულიყვნენ ინგლისში.

გალინა პირველ მატჩზე არც წასულა და თავისი ბილეთი ავტობუსის მძღოლს დაუთმო, მაგრამ შემდგომში მათ ნახეს ფეხბურთი და თავდავიწყებამდე შეიყვარეს იგი. ახლა ორივე პილეცკაია გულშემატკივართა ბანაკშია.

● ვინ თქვა, რომ ციფრი 13 უიღბლოა? პორტუგალიის ნაკრების შეტევათა ლიდერი ეუსებიო სულ სხვა აზრისაა. როცა გუნდში ანაწილებდნენ ნომრებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის, ეუსებიომ მწვრთნელს თხოვა სწორედ მისთვის მიეცა ციფრი № 13 და, როგორც ვიცით, ამ უიღბლო ციფრს მისთვის არაფერი დაუკლია. ქვეჯგუფებში ჩატარებული მატჩების შემდეგ ეუსებიო არგენტინელ არტიმესთან, ინგლისელ ჰანტთან და უნგრელ ბენესთან ერთად მეთაურობს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიას 3 გატანილი ბურთით.



## „ბრაზილიური საკითხის" სპეციალისტები

არც ერთ ჩემპიონატზე არ დაუკარგავს პროგნოზებს ავტორიტეტი ისე, როგორც ინგლისში. ფეხბურთის სამშობლოში დღეს გიჟად აცხადებენ ყველას, ვინც ჩემპიონატის შესახებ წინასწარ რაიმეს თქმას ბედავს. „წინასწარმეტყველთა" ავტორიტეტს პირველი ბზარი ბრაზილიელთა ფიასკოს შემდეგ გაუჩნდა. მერე მას იტალიელთა უბედურება დაემატა. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების წარმატებამ კი ყველაფერი ყირაზე დააყენა.

მაგრამ ამ ჩემპიონატსაც ჰყავს თავისი შორსმჭვრეტელები (სამწუხაროდ, მათი რიცხვი თითზეა ჩამოსათვლელი), რომლებიც დიდი პატივისცემითა და მოწონებით სარგებლობენ ხალხში, ჟურნალისტებსა და ასე გასინჯეთ, თვით სპეციალისტებშიც.

მათ შორის პირველია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი სტენლი როუზი, რომელმაც ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ფინალის ყველა მონაწილე გააფრთხილა: „ერიდეთ კორეას, მე ვნახე ეს გუნდი. მას შეუძლია რომელ მეტოქესაც გნებავთ, ხასიათი გაუფუჭოს". პრეზიდენტი სწორი გამოდგა — კორეის ნაკრები დღეს მსოფლიოს 8 საუკეთესო გუნდს შორისაა.

როუზს ჰკითხეს: როგორ შესძელით ასეთი შორსმჭვრეტელური დასკვნის გაკეთება? პრეზიდენტმა გაკვირვების ნიშნად მხრები აიჩეჩა.

— მე არაფერი მითქვამს ახალი, რაც ვნახე საკუთარი თვალით, ის გადმოგეცით.

პროგნოზთა „ხელოვნებაში" განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უნგრელებმა. ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა შანდორ ბარჩმა ტურნირის დაწყებამდე განაცხადა, რომ ბრაზილია ვერ გავა ნახევარფინალში. ხოლო ნაკრების მწვრთნელმა ლაიოშ ბაროტიმ პრეს-კონფერენციაზე, რომელსაც ბევრი უცხოელი ჟურნალისტი ესწრებოდა, თქვა: „ბრაზილიის ნაკრები გაცილებით უფრო ძლიერია ქაღალდზე, ვიდრე მოედანზე. ეს ყველაფერი თქვენგან — ჟურნალისტებისგან მოდის".

როგორც ხედავთ, უნგრელები არ შემცდარან. მათ ამგვარ გამჭრიახობას იმით ხსნიან, რომ უნგრეთს დიდი ხანია თავისი „ანგარიშები" აქვს ბრაზილიასთან და რომ ამიტომაც, ისინი „ბრაზილიური საკითხის" დიდ სპეციალისტებად ითვლებიან. არც ეს აზრია სიმართლეს მოკლებული.

## ფაბრი მიზანშია ამოღებული

ყველა თავის მიცვალებულს გლოვობს. იტალიელ ჟურნალისტებს, მაგალითად, მიაჩნიათ, რომ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის სენსაციათა შორის არაფერი შეედრება იტალიის ნაკრების კრახს. ისინი თითქოს თავისებურად ამშვიდებენ ბრაზილიელ კოლეგებს, როდესაც ამბობენ, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფარ-ხმალი ღირსეულ მეტოქეებთან ბრძოლაში დაჰყარა, „სკუადრა აძურას" კი ფინალისკენ გზა მსოფლიო ფეხბურთის დებიუტანტმა, კორეის გუნდმა გადაუკეტა. შესაძლოა ეს არაფერი ნუგეშია ბრაზილიელთათვის, მაგრამ იტალიელთა მსჯელობა არ არის სიმართლეს მოკლებული.

ვინ არის ამაში დამნაშავე? დღეს ყველა იტალიელი ამ შეკითხვაზე ასე პასუხობს: ედმონდო ფაბრი, რომლის ტრაბახმა ცუდი სამსახური გაუწია გუნდსაც და სპეციალისტებსაც. სსრ კავშირის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა განაცხადა: „როდესაც მეტოქე ძლიერია, მე კმაყოფილი ვარ. რუსები რომ საშიში მეტოქენი იქნებოდნენ, ადრეც ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ისინი ასეთი ძლიერები იყვნენ. საბჭოთა ნაკრებმა ჩვენზე უკეთ ითამაშა". ფაბრიმ ამ შემთხვევაში სიმართლეს რაინდულად შეხედა თვალებში, მაგრამ სულ მალე, როგორც ჩანს, ყველაფერი გადაავიწყდა.

როდესაც იტალიელთა მწვრთნელს ჟურნალისტებმა კორეის ნაკრებთან მომავალი მატჩის შესახებ ჰკითხეს, მან ტრაბახის ადრინდელი ტონით განაცხადა: „ჩემს თავს აღარ ვცემ პატივს, როდესაც ამის შესახებ მეკითხებიან".

ფაბრის მდგომარეობა დღეს მართლაც არავის შეშურდება. მწვრთნელის მიმართ რეპრესიები იტალიელი „ტიფოზების" ხულიგნური გამოხდომებით დაიწყო. გამძვინვარებულ და თავშეუკავებელ „ტიფოზთა" ერთმა ჯგუფმა მწვრთნელი გალახა — კორეის გუნდთან მარცხის შემდეგ მას ბოთლების სეტყვა დაუშინეს, მაგრამ ეს არაფერია: ხულიგნები ინგლისის პოლიციამ შეიპყრო. ფაბრის უფრო მეტად აშინებს პრესა, რომელმაც საქციელწამხდარი მწვრთნელი უკვე მიზანში ამოიღო.

## პელე მაინც პელეა

ერთ-ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა სცადა დაეთვალა იმ „ვარსკვლავთა" საერთო ღირებულება, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ბრიტანეთის სტადიონებზე გამოდიან. მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა, რადგან „ვარსკვლავების" ფასი, ბირჟისა არ იყოს, ყოველი მატჩის შედეგის შესაბამისად იცვლება.

ასე მაგალითად, იტალიის ნაკრების ცენტრფორვარდი რივერა ჩემპიონატამდე 200 ათას დოლარად იყო შეფასებული. ამჟამად კი მისი ფასი, როგორც ამბობენ, ძალიან დაეცა.

პორტუგალიელთა ცენტრალური თავდამსხმელის ეუსებიოს ფასი კი ყოველი მატჩის შემდეგ მატულობს. მეოთხედფინალური შეხვედრების წინ მან 750 ათას დოლარს მიაღწია. მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ეს ფასი არ არის საბოლოო, რადგან მოზამბიკელი ზანგის აქციები დღითიდღე იზრდება.

ჯერჯერობით „შავ ბირჟაზე" რეკორდი მაინც პელეს ეკუთვნის. ბრაზილიელთა წარუმატებლობის მიუხედავად, მისი ფასი მრგვალი შვიდნიშნა ციფრით (1 მილიონით) გამოიხატება.



სურათზე: პორტუგალიელთა საუკეთესო თავდამსხმელს ეუსებიოს გააქვს მეორე ბურთი ბრაზილიელთა კარში.

ფოტო იუპი-საქდესისა.

## მეოთხედფინალების მსაჯები

სსრ კავშირისა და უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდების მეოთხედფინალურ მატჩს სანდერლენდში იმსაჯებს ესპანელი არბიტრი ხ. გარდესაბალი (სხვათა შორის, მანვე იმსაჯა საბჭოთა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა მატჩშიც). გვერდით მსაჯებად იქნებიან პორტუგალიელი ჟ. კამპოსი და ურუგვაელი ჰ. კოდესალი.

ლონდონის „უემბლის" სტადიონზე ინგლისისა და არგენტინის ფეხბურთელთა მატჩის არბიტრი იქნება რ. კრეიტლეინი (გფრ), შეფილდში — ურუგვაისა და გფრ-ის მატჩის მსაჯი იქნება ინგლისელი ჯ. ფინეი, ხოლო ლივერპულში პორტუგალიისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მატჩს იმსაჯებს მ. აშკენაზი (ისრაელი).

## ჯგუფური ტურნირების ყველა გოლი

### I ჯგუფი

ჰანტი (ინგლისი) — 3
ბორია (მექსიკა) — 1
დე ბურბონი (საფრანგეთი) — 1
კორტესი (ურუგვაი) — 1
როჩა (ურუგვაი) — 1
ჰაუსერი (საფრანგეთი) — 1
რ. ჩარლტონი (ინგლისი) — 1

### II ჯგუფი

არტიმე (არგენტინა) — 3
ბეკენბაუერი (გფრ) — 2
ჰალერი (გფრ) — 2
ამანსიო (ესპანეთი) — 1
ზეელერი (გფრ) — 1
კვენტინი (შვეიცარია) — 1
მარტინესი (ესპანეთი) — 1
ონეგა (არგენტინა) — 1
სანჩისი (ესპანეთი) — 1
ფუსტე (ესპანეთი) — 1
ჰელდი (გფრ) — 1
ემერიხი (გფრ) — 1

### III ჯგუფი

ეუსებიო (პორტუგალია) — 3
ბენე (უნგრეთი) — 3
მესეი (უნგრეთი) — 2
აუგუსტო (პორტუგალია) — 2
ტორესი (პორტუგალია) — 2
ასპარუხოვი (ბულგარეთი) — 1
გარინჩა (ბრაზილია) — 1
პელე (ბრაზილია) — 1
რილდო (ბრაზილია) — 1
სიმოესი (პორტუგალია) — 1
ტოსტაო (ბრაზილია) — 1
ფარკაში (უნგრეთი) — 1
ვუცოვი (ბულგარეთი) თავის კარში გაიტანა 2 ბურთი.

### IV ჯგუფი

მალოფეევი (სსრკ) — 2
მარკოსი (ჩილე) — 2
პარკუიანი (სსრკ) — 2
ბანიშევსკი (სსრკ) — 1
ბარიზონი (იტალია) — 1
მაცოლა (იტალია) — 1
პაკ დუ იკ (კსდრ) — 1
პაკ სინ დინ (კსდრ) — 1
ჩისლენკო (სსრკ) — 1

# მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

### პელე: ბრაზილიის ვარსკვლავი კვლავ იკაშკაშებს

— წავაგეთ. ჩვენ გამოვეთიშეთ ასის გათამაშებას. მაგრამ, ბრაზილიის ვარსკვლავი როდი ჩაესვენა. ის კვლავ იკაშკაშებს. ჩვენთვის ეს გაკვეთილი იყო და კვლავაც ვიბრძოლებთ. პორტუგალიელებმა პრესინგის მარწუხებში მოგვამწყვდიეს. ეს ძალიან სასტიკი გამოდგა. სამი ბურთის სხვაობით მოგებაზე ჩვენ მხოლოდ უნდა გვეოცნება. სასწაული არ მოხდა. ახლა ბევრ წერილს ვიღებ ევროპული საფეხბურთო კლუბებიდან. ყველას რატომღაც ჰგონია, რომ ახლა ბრაზილიას ევროპას ვამჯობინებ. მაგრამ მე დავბრუნდები ბრაზილიაში და ვითამაშებ ფეხბურთს, სულ დიდი 4 წელს მაინც. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატში ვეღარ მიხილავენ, არასდროს ვითამაშებ ქიულ რიმეს თასზე. ნუ მკითხავთ, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ ჩემპიონატში. უბრალოდ არ ვიცი, ტურნირი სავსეა სიურპრიზებით. და მერე როგორი! დამარცხდნენ იტალიელები, წავაგეთ ჩვენც. ერთი სიტყვით, არავინ (მათ შორის მეც) არ იცის, თუ რა მოხდება მომავალ მატჩებში. ვერ ვბედავ დავასახელო გამარჯვებული გუნდი.

### ეუსებიო პოლიციელთა რკალში

გაზეთმა „დეილი მირორმა" დაბეჭდა ფოტოსურათი: ეუსებიო პოლიციელთა თანხლებით მიდის ლივერპულის ერთ-ერთ ქუჩაზე. რა არის ეს. ფეხბურთის „ვარსკვლავი" პატიმრობაშია? არა. განმარტავს გაზეთი. უბრალოდ, პორტუგალიელ „შავ ავაზას" იცავენ გამხეცებული გულშემატკივრებისგან, რომლებიც გამუდმებით კუდში დასდევენ, რათა ავტოგრაფი „გამოტყუონ". პოლიცია იძულებულია დაიცვას ეუსებიოს „ხელშეუხებლობა".

### მეკარის აბსოლუტური რეკორდი

მექსიკის ნაკრების კარს უკანასკნელ მატჩში ურუგვაის გუნდთან იცავდა ანტონიო კარბახალი. ეს იყო მისი არა მარტო 49-ე გამოსვლა ნაკრებში, არამედ რეკორდიც, რომლის განმეორებას ალბათ ვერავინ შეძლებს. მექსიკელი მეკარე ხომ 5 მსოფლიო ჩემპიონატში იცავდა თავისი ქვეყნის ნაკრების კარს.

### ხელჩართული ბრძოლა

როგორც კი დამთავრდა ლივერპულიდან რეპორტაჟი ბრაზილია — პორტუგალიის [illegible] სან-პაულოს [illegible] ჩხუბი ატყდა [illegible] პორტუგალიური წარმოშობის გულშემატკივრებს შორის. პოლიციის ჩარევა რომ არა, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ინციდენტი.

* * *

იმავე დღეს, რიო-დე-ჟანეიროში გაცოფებული გულშემატკივრები აცვივდნენ პორტუგალიის გემზე, რომლის მფლობელი პორტუგალიის გუნდის ყოველ გატანილ გოლს, ქვემეხის ბათქით აღნიშნავდა. გემი სერიოზულად დაზიანდა.

### კლასი „ა" I ჯგუფი

განვლილი ტური სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში მოიცავდა 3 დღეს — 19, 20 და 21 ივლისს. თამაშობდა ჩემპიონატის ყველა მონაწილე, გარდა ლენინგრადის „ზენიტისა".

ტური საკმაოდ „უხვმოსავლიანი" გამოდგა: გატანილია 27 გოლი, დიდი ანგარიშით მოგება კი ფიქსირებულ იქნა მხოლოდ ერთ მატჩში. ოდესის არმიელებმა საკუთარ მინდორზე დამარცხება განიცადეს მოსკოვის „ტორპედოსგან" — 1:4. ეს მატჩი იმითიცაა საინტერესო, რომ ტორპედოელთა თავდასხმის ლიდერმა სტრელცოვმა 44-დან 59-ე წუთამდე ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. მეოთხე ბურთის ავტორი იყო ლენიოვი, საპასუხოსი — ნემიროვსკი.

3 გოლი ერთი ფეხბურთელის მიერ გატანილ იქნა „ჩერნომორეცისა" და ცსკა-ს მატჩშიც. არმიელთა თავდამსხმელმა სეკეჩმა სამჯერ აიძულა „ჩერნომორეცის" მეკარე იარჩუკი გამოეტანა ბურთი კარიდან. ამას დაემატა კაზაკოვისა და ვარგას 2 გოლიც. ოდესელთაგან 2 ბურთი გაიტანა ბაზილევიჩმა 1 — ლობანოვსკიმ.

### მატჩები, გოლები, ქულები

მინიმალური ანგარიშით მოუგო „პახტაკორმა" მოსკოვის „ლოკომოტივს" (გოლის ავტორი — რახმატულაევი) და როსტოვის არმიელთა გუნდმა — „კრილია სოვეტოვს" (გოლის ავტორი — მატვეევი).

„არარატისა" და „კაირატის" მატჩში, რომელიც ერევანში შედგა (3:1 „კაირატის" სასარგებლოდ), ყველა ბურთი სტუმრებმა გაიტანეს. ანგარიში გახსნა როჟკომ, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მერე წონასწორობა აღადგინა სტეპანოვმა, „კაირატი" წინ გაიყვანა ვოლოხმა და გამარჯვება განამტკიცა როჟკომ. ამჯერად ბურთი გატანილ იქნა იქ, სადაც „ჯერ არს" — მოწინააღმდეგის კარში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალმა-ათის გუნდის მცველს სტეპანოვს უკვე მესამე გოლი აქვს გატანილი.

21 ივლისს შედგა ტურის ბოლო მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა" და ბაქოს „ნეფტიანიკს" შორის. გაიმარჯვა „სპარტაკმა" — 2:1. (ივანიშევსკი, პრიბილევი), ბაქოელთაგან ბურთი გაიტანა ბრუხტიმ.

ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ა. ბიშოვეცს („დინამო", კიევი) და ბ. კაზაკოვს (ცსკა) გატანილი აქვთ 9 ბურთი თვითეულს; ი. ავრუცკის („დინამო", მოსკოვი), ს. ვარგას (ცსკა), გ. მატვეევს (ასკ, როსტოვი) და ე. სტრელცოვს („ტორპედო", მოსკოვი) — 8-8; ა. ბიბას („დინამო", კიევი), ნ. ოსიანინს („სპარტაკი", მოსკოვი) და გ. ნოდიას („ტორპედო", ქუთაისი) — 7-7.

ფეხბურთი

### მოზარდთა ტურნირი

კოპეისკი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება „ა" და „ბ" კლასების კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი გუნდების საკავშირო ტურნირი ფეხბურთში.

მორიგ წარმატებას მიაღწიეს თბილისის „ლოკომოტივის" ნორჩმა ფეხბურთელებმა. ისინი ხვდებოდნენ ჩელიაბინსკის გუნდს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 2:1.

თ. ქობულაძე.

## [illegible]

● **მოსკოვი**, 21 ივლისი. 7-14 აგვისტოს ვ. ჩკალოვის სახელობის სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის ტუშინოს აეროდრომზე პირველად ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრიის, აშშ-ის, ბულგარეთის, გფრ-ის, ესპანეთის, ინგლისის, პოლონეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და სხვა, სულ 16 ქვეყნის სპორტსმენები. წინა ჩემპიონატში 11 ქვეყანა მონაწილეობდა. გუნდურ შეჯიბრებაში გათამაშდება გარდამავალი პრიზი — შესანიშნავი რუსი მფრინავის პ. ნესტეროვის სახელობის თასი (ამ თასს ამჟამად საბჭოთა სპორტსმენები ფლობენ). უმაღლეს პილოტაჟში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებას მოიპოვებს ის, ვინც სავალდებულო და ნებისმიერი 5 ვარჯიშიდან ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, ქალთა შორის კი მსოფლიო ჩემპიონი 3 ვარჯიშის შემდეგ გაირკვევა. ასპარეზობა დიდი საავიაციო ზეიმით გაიხსნება.

● **ბელგრადი**. 31 ქვეყანა, 588 ნიჩბოსანი, 161 ნავი — ასეთია დღევანდელი აკადემიურ ნიჩბოსნობაში მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა. პირველობა მოეწყობა ბლედის ტბაზე 7-11 სექტემბერს. მასში იასპარეზებენ ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის, რუმინეთის, დანიის, აშშ-ის, საბერძნეთის, თურქეთის, ფინეთის, შვეციის, ინგლისის, ავსტრიის, კანადის, ავსტრალიის, გდრ-ის, გფრ-ის, იაპონიის, მექსიკის, სსრ კავშირის, ბულგარეთის, ისრაელის, ნორვეგიის, არგენტინისა და იუგოსლავიის ნიჩბოსნები.

● **ოსლო**. მესამე დღეა, რაც სამხრეთ ნორვეგიაში თბილი ამინდი დადგა. ეს ყველას უხარია, დამწუხრებულნი არიან მხოლოდ აფროსნობაში ევროპის პირველობის მონაწილენი (ნავსადგურ ხიორტენის მახლობლად მიმდინარეობს ასპარეზობა) უსწრაფესმა ნავებმაც კი — „მფრინავმა ჰოლანდიელებმა" ვერ შეძლეს რამდენადმე საჭირო სიჩქარის განვითარება. ამ პირობებს ვერ შეეგუენ მასპინძლებიც. ამიტომ გასაკვირია არაა, რომ ლიდერობენ იტალიელები და ავსტრალიელები, რომლებიც მიჩვეულნი არიან წყნარ წყალში მანევრირებას. ვერ დაიკვეხნიან საბჭოთა სპორტსმენებიც. ასპარეზობის 2 დღის შემდეგ ლ. რვალოვი და ვ. კილჩინი (ნავი „ნაიადა") მე-9 ადგილზე არიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ კიდევ 4 რბოლა მოუწევთ (ჩათვლა 5 რბოლიდან იანგარიშება). IX ადგილზეა გამოცდილი ფ. ნოვოდერჟკინიც (ნავი „ტორნადო").

# თასი — საქართველოს გუნდს

ჟურნალ „შახმატი ვ სსრ"-მა ივნისის ნომერში გამოაქვეყნა საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამომხსნელთა სსრ კავშირის პირველ პირველობაში საქართველოს წარმომადგენელთა დიდი გამარჯვების ამბავი.

შარშან პირველად მოეწყო სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნაში. ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკებისა და ქალაქების ამომხსნელთა შერჩევით შეჯიბრებაში 105-მა გამარჯვებულმა.

თვითეული რესპუბლიკა წარმოდგენილი იყო 10 კაცით. გუნდის ყოველ წევრს ამოსახსნელად მიეცა 25 ერთიდაიგივე ამოცანა და ეტიუდი. ამომხსნელები ამ ნაწარმოებებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხსნიდნენ და უგზავნიდნენ ჟიურის. სწორი ამოხსნისთვის დაწესებული იყო ქულობრივი შეფასება.

როცა ჟიურიმ დააჯამა პირველობის შედეგი, გამოირკვა, რომ საქართველოს გუნდმა (მ ვირსალაძე, ვ. დადიანიძე, ა. დავლიანიძე, ჯ. მახათაძე, ე. მელიქსეთ-ბეკი, ვ. ნეიძე, ო. ტაბიძე, რ. თავარიანი, ლ. ჩიქობავა, ზ. ჩაჩუა) 815 ქულა მოაგროვა 970 შესაძლებლიდან და მოიხვეჭა პირველი ადგილი და სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის გარდამავალი თასი. გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ საკავშირო სპორტკავშირის პირველი ხარისხის დიპლომებით.

II ადგილი წილად ხვდა ბელორუსიის გუნდს (810 ქულა), III — ლენინგრადის გუნდს (802). მომდევნო ადგილებზე არიან: უკრაინა (789,5), რსფსრ (735), მოლდავეთი (727,5), მოსკოვი (700), სომხეთი (650,5), ყაზახეთი (615,5), ლატვია (397), ლიტვა (308,5) და უზბეკეთი (164).

პირად ჩათვლაში ყველაზე უკეთესი ამომხსნელის სახელი მიენიჭათ გორის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელს ვ. დადიანიძეს და ლენინგრადელ ინჟინერს შ. შტეინბუკს. მათ აჯობეს 139 ამომხსნელს, მოაგროვეს რა 87 ქულა 97 შესაძლებლიდან. ჟურნალი აქვეყნებს გამარჯვებულთა ფოტოსურათებს და იტყობინება, რომ მათ გადაეცემათ პირველი ხარისხის დიპლომები.

გამარჯვებულთა შორის მოხსენებული არიან აგრეთვე ო. ტაბიძე და ლ. ჩიქობავა, რომელნიც საკავშირო სპორტკავშირის მოწმობებით დაჯილდოვდნენ.

### სწორად ამოხსნეს

ჩვენი გაზეთის 28 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული იყო შ. რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი რ. თავარიანის საჭადრაკო ამოცანა.

ამოცანა სწორად ამოხსნეს ო. დეკანოსიძემ (საჩხერის რაიონი, სოფ. წითელ-სოფელი), ჟ. ოვანოვმა და ჯ. ასათიანმა (ორივენი — ჭიათურა).

ამოცანის ამოხსნაა: 1. მd5! (თამაშს შავები იწყებენ) 1. ... bმლ 2. ლa6+ ლa7 3. მb6+ მფb8 4. ლc8×. 1. ... b8მ 2. ლc7 მd7+ 3. მფf5 და 4. მb5×.

ჭადრაკი

# პოლონეთის მძლეოსანთა პროტესტი

პოლონეთის მძლეოსნები სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში ამერიკის იმპერიალისტთა წინააღმდეგ და გმობენ ამ უკანასკნელთა ბარბაროსულ საქციელს. სწორედ ამ სოლიდარობის ნიშნად, მათ უარი თქვეს შეერთებული შტატების მძლეოსნებთან ტრადიციულ შეხვედრაზე.

— რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მატჩს, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა შეძრწუნებულია ამერიკელ მფრინავთა ვერაგობით? — ნათქვამია პოლონეთის მძლეოსანთა განცხადებაში. რკინის ნერვები და ქვის გული უნდა გქონდეს, რომ ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ეწვიო ქვეყანას, რომელიც უმოწყალოდ თელავს თანამედროვე ცივილიზაციის უწმიდეს პრინციპებს.

პოლონეთის მძლეოსნებმა, ჩემპიონებმა და რეკორდსმენებმა ერთსულოვნად მოიწონეს რეზოლუციის ტექსტი: „ამერიკელ მძლეოსნებთან მატჩი მეგობრული სპორტული კავშირის განმტკიცების საშუალებად მიგვაჩნდა, — განაცხადა მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მძლეოსანმა ქალმა კირშენშტეინმა, — მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს შეხვედრა მხოლოდ ცინიზმი იქნებოდა. მე მოვუწოდებ მსოფლიოს ყველა მძლეოსანს პროტესტის ხმა აიმაღლოს ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ".



მძაფრი ბრძოლა საფარიკაო ბილიკზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ანონიმური მფარველი

ამერიკელმა პროფესიონალმა მოკრივემ ე. გრიფიტსმა 15-რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა თავისი თანამემამულე ეგ. არჩერი. ამ გამარჯვებამ გრიფიტს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუტანა საშუალო წონაში. აქ შეიძლებოდა ინფორმაციისთვის წერტილი დაგვესვა, მაგრამ...

პროფესიონალ მოკრივეთა გადამწყვეტი ბრძოლა უმაღლესი ტიტულისთვის, როგორც წესი, მუდამ ექსცესებით ხასიათდება. ამ მხრივ გამონაკლისს არც გრიფიტს — არჩერის ბრძოლა წარმოადგენდა. მატჩის თარიღი და ადგილი უკვე გამოცხადებული იყო, როცა მოულოდნელად ავანსცენაზე უცნობი მოკრივე, ვინმე რ. ჯეკსონი გამოჩნდა. ვინ იყო იგი, ან საიდან მოვიდა, არავინ უწყოდა. არც ის იცოდნენ, თუ რატომ მაინცდამაინც ჯეკსონი უნდა შებმოდა გრიფიტსს. მას ხომ არც ერთ ოფიციალურ მატჩში არ მოუპოვებია ამის უფლება?

ყველა გაკვირვებული იყო, მაგრამ გრიფიტს — ჯეკსონის მატჩის საკითხი სულ მალე რეალობად იქცა. და აი, აქ ხმა აიმაღლა პრესამ. ნიუ-იორკის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტმა გამოარკვია, რომ ჯეკსონს ფარული კავშირი აქვს პროფესიონალური კრივის ასოციაციის ერთ წევრთან, რომელიც ცუდი რეპუტაციით სარგებლობს არა მარტო მოკრივეებში, არამედ ხელისუფალთა შორისაც.

გაზეთი საქვეყნო მხილებით დაემუქრა ჯეკსონის ანონიმურ მფარველს, თუ ეს უკანასკნელი უარს არ იტყოდა თავის განზრახვაზე. მუქარამ გაჭრა და მეორე დღეს ქალაქის ქუჩებში მოულოდნელად გაქრა ჯეკსონის რეკლამა.

გრიფიტსმა არჩერთან გამარჯვების შემდეგ კორესპონდენტებს განუცხადა: „ჩემი გამარჯვების ფასი განახევრდა, რადგან უცნობი ბოროტმოქმედები 3 კვირის მანძილზე თამაშობდნენ არჩერის ნერვებზე. მოხარული ვიქნები თუ ჩემს ღირსეულ მეტოქეს უფრო დამშვიდებულ პირობებში შევებმები".

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!**

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება დუბლიორთა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისის „დინამოსა" და ალმა-ათის „კაირატს" შორის. ვინაიდან დღეს ტელევიზიით გადასცემენ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩს, ეს შეხვედრა დაიწყება დილის 11 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-11, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.